



წითელი დროშა – რბოლის გაჩერება

მონაწილეებმა უნდა დააგდონ სიჩქარე მინიმუმადე და შევიდნენ „პიტ ლეინზე“ . გასწრება აკრძალულია!




ფინიშის დროშა – რბოლის დასრულება

ყველა მონაწილე ასრულებს მიმდინარე წრეს და შედის „პიტ ლეინზე“ .



შავი დროშა – STOP & GO ან

დისკვალიფიკაცია . ამ დროშას უჩვენებენ მონაწილის საბორტო ნომერთან ერთად. მონაწილეს , რომელსაც უჩვენებენ ამ დროშას ვალდებულია შევიდეს პიტ ლეინზე , გაჩერდეს სპეციალურად მონიშნულ ადგილზე და დაელოდოს შემდგომ მითითებებს



შავი დროშა ყვითელი წრით – ტექნიკური გაუმართაობა.

ამ დროშას უჩვენებენ მონაწილის საბორტო ნომერთან ერთად. მონაწილეს, რომელსაც უჩვენებენ ამ დროშას, მის სატრანსპორტო საშუალებას აღენიშნება ვიზუალური ტექნიკური გაუმართაობა და ვალდებულია შევიდეს პიტ ლეინზე ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად.



შავ-თეთრი დროშა – გაფრთხილება. ამ დროშას უჩვენებენ მონაწილის საბორტო ნომერთან ერთად. მონაწილეს, რომელსაც უჩვენებენ ზემოთ მითითებულ დროშას, აძლევენ გაფრთხილებას არა სპორტული ან არა მიზანშეწონილი საქციელისთვის.



ყვითელი დროშა – საშიშროება ტრასაზე. ასეთ შემთხვევაში მრბოლელი მზად უნდა იყოს ტრასაზე შექმნილი ნებისმიერი დაბრკოლების გვერდის ასავლელად!


ნებისმიერ სატრანსპორტო საშუალებაზე გასწრება კატეგორიულად იკრძალება!

ორი ყვითელი დროშა ერთად – ტრასაზე წარმოქმნილი სერიოზული დაბრკოლება. ასეთ შემთხვევაში მრბოლელი ვალდებულია დააგდოს სიჩქარე და მზად უნდა იყოს სატრანსპორტო საშუალების მკვეთრი მანევრის შესასრულებლად ან სრულად გასაჩერებლად.

ნებისმიერ სატრანსპორტო საშუალებაზე გასწრება კატეგორიულად იკრძალება!



დროშა წითელი და ყვითელი ზოლებით – მოცურების საფრთხის შემცველი ზედაპირი. ეს დროშა აფრთხილებს მონაწილეებს, რომ გზის საფარის მდგომარეობა შეიცვალა (ტრასაზე დაღვრილია ზეთი, ტრასის ზედაპირი დასველდა, ტრასაზე დაიყარა ხრეში, მიწა ან სხვა.)



ლურჯი დროშა – წრეზე დაწეული ავტომობილი. მონაწილე, რომელსაც უჩვენებენ ამ დროშას, ვალდებულია გაატაროს ავტომობილი, რომელიც მას წრეზე წამოეწია.



მწვანე დროშა – რბოლის დაწყება, „პიტ სტოპიდან“ გამოსვლის უფლება, თავისუფალი გზა ან ყვითელი დროშის მოქმედების ზონის დასრულება.

დამტკიცებულია

საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის მიერ